

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის

ბრძანება №241

2011 წლის 10 ოქტომბერი

ქ. თბილისი

საკონსულო აღრიცხვაზე დაყენებისა და საკონსულო აღრიცხვიდან მოხსნის წესის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-13 პუნქტის, „საკონსულო დაწესებულებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25 -ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61 -ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს თანდართული „საკონსულო აღრიცხვაზე დაყენებისა და საკონსულო აღრიცხვიდან მოხსნის წესი“.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საკონსულო აღრიცხვაზე დაყენებისა და საკონსულო აღრიცხვიდან მოხსნის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2011 წლის 28 იანვრის №36 ბრძანება.

3. ბრძანება ამოქმედდეს 2011 წლის 15 ოქტომბრიდან.

გ. ვაშაძე

შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანება 2012 წლის 6 ივლისის №151 - ვებგვერდი, 12.07.2012წ.
2. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანება 2012 წლის 11 ივლისის №158 - ვებგვერდი, 13.07.2012წ.
3. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2012 წლის 24 ივლისის ბრძანება №173 - ვებგვერდი, 25.07.2012წ.
4. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2012 წლის 22 აგვისტოს ბრძანება №200 - ვებგვერდი, 29.08.2012წ.
5. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2012 წლის 12 დეკემბრის ბრძანება №297 - ვებგვერდი, 14.12.2012წ.
6. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის ბრძანება №198 - ვებგვერდი, 17.09.2013წ.
7. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2013 წლის 29 ნოემბრის ბრძანება №259 - ვებგვერდი, 05.12.2013წ.
8. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2014 წლის 15 აგვისტოს ბრძანება №01-151 - ვებგვერდი, 21.08.2014წ.

საკონსულო აღრიცხვაზე დაყენებისა და საკონსულო აღრიცხვიდან მოხსნის წესი

მუხლი 1.

ეს წესი განსაზღვრავს საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების საკონსულო აღრიცხვაზე დაყენებისა და საკონსულო აღრიცხვიდან მოხსნის წესსა და პირობებს.

მუხლი 2.

წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქე - საქართველოს მოქალაქე, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი და პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირი, რომელიც მუდმივად ცხოვრობს ან დროებით იმყოფება საზღვარგარეთ;

ბ) საკონსულო აღრიცხვა - საქართველოს მოქალაქეთა საზღვარგარეთ დროებით ან მუდმივად ყოფნის ფაქტის აღრიცხვა, რომლის განხორციელების წესი განსაზღვრულია ამ წესით;

გ) განცხადება - ანკეტა - საკონსულო აღრიცხვაზე დაყენების შესახებ ამ წესის №1 დანართით დამტკიცებული სპეციალური ფორმის განცხადება;

დ) საკონსულო თანამდებობის პირი - ნებისმიერი დიპლომატიური თანამდებობის პირი, მათ შორის საკონსულო დაწესებულების მეთაური, რომელსაც ევალება საკონსულო ფუნქციების შესრულება საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში, საკონსულო დაწესებულებებში და უცხო ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლობაში არსებულ საქართველოს ინტერესთა სექციაში (შემდგომში - საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობა და საკონსულო დაწესებულება);

ე) სააგენტო - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო;

ვ) სამინისტრო - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2012 წლის 22 აგვისტოს ბრძანება №200 - ვებგვერდი, 29.08.2012წ.



მუხლი 3.

1. საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების საკონსულო აღრიცხვას აწარმოებენ საკონსულო თანამდებობის პირები, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულების საკონსულო ოლქების მიხედვით.

2. სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტი (შემდგომში - საკონსულო დეპარტამენტი) საკონსულო აღრიცხვას ახორციელებს:

ა) იმ ქვეყანაში, სადაც არ არის აკრედიტირებული საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა და საკონსულო დაწესებულება;

ბ) საზღვარგარეთ საქართველოს იმ დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულების საკონსულო თანამდებობის პირების და მათი ოჯახის წევრების მიმართ, სადაც დანიშნულია ერთი საკონსულო თანამდებობის პირი.

3. საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების საკონსულო აღრიცხვას ასევე აწარმოებს სააგენტო.

4. სააგენტო უფლებამოსილია საკონსულო აღრიცხვაზე დააყენოს საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეები მათ ადგილსამყოფელ ქვეყანაში აკრედიტირებული საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულების მითითებით, ყველა სხვა შემთხვევაში – სამინისტროს მითითებით.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2014 წლის 15 აგვისტოს ბრძანება №01-151 - ვებგვერდი, 21.08.2014წ.

მუხლი 4.

1. საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე უფლებამოსილია დადგეს საკონსულო აღრიცხვაზე.

2. სააგენტოს წინაშე საკონსულო აღრიცხვაზე დაყენების თაობაზე შუამდგომლობის აღძვრის უფლება აქვს 14 წელს მიღწეულ საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეს, 18 წლამდე ასაკის საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქის კანონიერ წარმომადგენელს, აგრეთვე მეურვეობისა ან მზრუნველობის ქვეშ მყოფი საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქის მზრუნველს ან მეურვეს.

3. საკონსულო თანამდებობის პირი არასრულწლოვან ან/და მეურვეობის და მზრუნველობის ქვეშ საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეებს საკონსულო აღრიცხვაზე აყენებს მშობლის, მეურვის, მზრუნველის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული თანხმობა არ მოითხოვება და მხოლოდ საკონსულო თანამდებობის პირის გადაწყვეტილებით საკონსულო აღრიცხვაზე დაყენება მოხდება, თუ ობიექტური მიზეზების გამო შეუძლებელია წარმოდგენილ იქნეს მშობლის თანხმობა და უცხო ქვეყანაში არსებული კანონმდებლობა შეუძლებელს ხდის ან მოითხოვს აშკარად შეუსაბამოდ დიდ დროს მზრუნველის და მეურვის დანიშნისათვის.

5. 14 წლამდე ასაკის, აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ქვეშ საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეები სააგენტოს მეშვეობით საკონსულო აღრიცხვაზე დგებიან მშობლის, მეურვის, მზრუნველის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით.

6. საკონსულო თანამდებობის პირი საკონსულო აღრიცხვაზე დგება საკონსულო დეპარტამენტის მეშვეობით. იმ შემთხვევაში, თუ საკონსულო დაწესებულება წარმოდგენილია ორი საკონსულო თანამდებობის პირით, ისინი საკონსულო აღრიცხვაზე დგებიან ერთმანეთის მეშვეობით.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2012 წლის 22 აგვისტოს ბრძანება №200 - ვებგვერდი, 29.08.2012წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის ბრძანება №198 - ვებგვერდი, 17.09.2013წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2014 წლის 15 აგვისტოს ბრძანება №01-151 - ვებგვერდი, 21.08.2014წ.

მუხლი 5.

1. საკონსულო აღრიცხვაზე დაყენების განსახორციელებლად წარმოდგენილი უნდა იქნ ეს შემდეგი დოკუმენტები:

ა) განცხადება-ანკეტა (დანართი №1);

ბ) თანხმობები უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში მოქმედი პასპორტის ან პირადობის მოწმობის ასლი და ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტები;

გ) 2 ფოტოსურათი (ზომა 3X4 სმ). ფოტოსურათის წარმოუდგენლობა არ შეიძლება იყოს საკონსულო აღრიცხვაზე დაყენების უარის თქმის მიზეზი;

დ) (ამოღებულია - 12.12.2012, №297) .

1¹. (ამოღებულია - 12.12.2012, №297) .

2. საკონსულო თანამდებობის პირისა და საკონსულო დეპარტამენტის წინაშე საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს არასრულწლოვანი მოქალაქის, ასევე მზრუნველობის ან მეურვეობის ქვეშ მყოფი საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქის საკონსულო აღრიცხვაზე დაყენებასთან დაკავშირებით მშობლის (მზრუნველი, მეურვე) თანხმობა გამოიხატება საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს არასრულწლოვანი მოქალაქის (მზრუნველობის ან მეურვეობის ქვეშ მყოფი საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქე)



საკონსულო აღრიცხვაზე დაყენების შესახებ განცხადება-ანკეტაზე მშობლის (მზრუნველი, მეურვე) ხელმოწერით.

3. სააგენტოს წინაშე 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის, ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ქვეშ საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქის საკონსულო აღრიცხვაზე დაყენებასთან დაკავშირებით მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გამოხატვა შესაძლებელია ელექტრონული ფორმით, თუ ელექტრონული კომუნიკაცია იძლევა განმცხადებლისა და განცხადება-ანკეტის მიღებაზე უფლებამოსილი პირის პირდაპირ ვიზუალური კონტაქტის საშუალებას.

4. მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირის საკონსულო აღრიცხვაზე დაყენებისათვის წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

5. საზღვარგარეთ მყოფმა საქართველოს მოქალაქემ დამატებით უნდა წარმოადგინოს ადგილსამყოფელ ქვეყანაში მისი სამართლებრივად ყოფნის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ასეთი უფლების არსებობის შემთხვევაში. ზემოაღნიშნული დოკუმენტის წარმოუდგენლობა არ შეიძლება გახდეს საკონსულო აღრიცხვაზე დაყენების უარის თქმის მიზეზი.

6. (ამოღებულია - 11.09.2013-N198).

7. სამინისტრო, საკონსულო თანამდებობის პირი და სააგენტო ახორციელებს საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მხოლოდ იმ მოქალაქეთა საკონსულო აღრიცხვაზე დაყენებას, რომელთა რეგისტრაციის შესახებ სრული ინფორმაცია მოიპოვება სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში.

8. სააგენტოს მიერ საკონსულო აღრიცხვაზე დაყენება ხორციელდება საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქის მიერ ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით სააგენტოს ინტერნეტგვერდზე განთავსებული ელექტრონული ფორმის განცხადება-ანკეტის (დანართი N 5) შევსების საფუძველზე, თუ ელექტრონული კომუნიკაცია იძლევა განმცხადებლისა და განცხადება-ანკეტის მიღებაზე უფლებამოსილი პირის პირდაპირ ვიზუალური კონტაქტის საშუალებას. სააგენტოს მიერ საკონსულო აღრიცხვის განხორციელებისას არ ვრცელდება ამ მუხლის პირველი (გარდა პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა) პუნქტით დადგენილი მოთხოვნები.

9. თუ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ბაზიდან, ონლაინ რეჟიმში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, სააგენტო ადასტურებს საქართველოს მოქალაქის საქართველოს ფარგლებს გარეთ ყოფნას, სააგენტოს მეშვეობით საკონსულო აღრიცხვაზე დაყენება შეიძლება განხორციელდეს განმცხადებლისა და განცხადება-ანკეტის მიღებაზე უფლებამოსილი პირის პირდაპირ ვიზუალური კონტაქტის გარეშე. ამ შემთხვევაში ფოტოსურათის წარმოდგენა სავალდებულოა.

10. ელექტრონული ფორმით წარდგენილი განცხადება-ანკეტა სააგენტოს მიერ რეგისტრირებულად ჩაითვლება აღნიშნულის განმცხადებლის მიერ პირდაპირ ვიზუალური კავშირის საშუალებით დადასტურების შემდეგ. სააგენტო უზრუნველყოფს ვიზუალური კონტაქტის ამსახველი ყველა ჩანაწერის ელექტრონული ფორმით შენახვას. თუ საკონსულო აღრიცხვაზე დაყენება ხორციელდება განმცხადებლისა და განცხადება-ანკეტის მიღებაზე უფლებამოსილი პირის პირდაპირ ვიზუალური კონტაქტის გარეშე, განცხადება-ანკეტის რეგისტრაციას ადასტურებს განცხადება-ანკეტის მიღებაზე უფლებამოსილი პირი, აღნიშნულის შესახებ მოქალაქეს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ეგზავნება შეტყობინება.

11. განმცხადებლის ვინაობასა ან საკითხის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებებთან დაკავშირებით საფუძვლიანი ეჭვის წარმოშობის შემთხვევაში, სააგენტოს შესაბამისი თანამდებობის პირი უფლებამოსილია უარი განაცხადოს საკონსულო აღრიცხვაზე დაყენების თაობაზე განცხადება-ანკეტის რეგისტრაციაზე.

12. საკონსულო აღრიცხვაზე დაყენების განსახორციელებლად წარმოდგენილი დოკუმენტების სისრულე დგინდება და მოწმდება საკონსულო თანამდებობის პირის მიერ.

13. ამ წესის მე -3 მუხლის მე -2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქე ელექტრონული საშუალებების ან საფოსტო გზავნილის გამოყენებით წარუდგენს სამინისტროს ელექტრონული ფორმის განცხადება-ანკეტას (დანართი №1).

14. საკონსულო აღრიცხვაზე მყოფი პირის მიერ განცხადება-ანკეტაში ადრე მითითებული მონაცემების ცვლილების თაობაზე, აღნიშნული პირის მიერ ახალი განცხადება -ანკეტის წარმოდგენის შემთხვევაში, ცვლილება აისახება სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში, ხოლო უკვე შეცვლილი მონაცემების ამსახველი განცხადება-ანკეტა დაერთვება მატერიალურ ფორმატში არსებულ პირველად განცხადება-ანკეტას.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანება 2012 წლის 11 ივლისის №158 - ვებგვერდი, 13.07.2012წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2012 წლის 24 ივლისის ბრძანება №173 - ვებგვერდი, 25.07.2012წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2012 წლის 22 აგვისტოს ბრძანება №200 - ვებგვერდი, 29.08.2012წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2012 წლის 12 დეკემბრის ბრძანება №297 - ვებგვერდი, 14.12.2012წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის ბრძანება №198 - ვებგვერდი, 17.09.2013წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2014 წლის 15 აგვისტოს ბრძანება №01-151 - ვებგვერდი, 21.08.2014წ.

მუხლი 6.

1. საკონსულო აღრიცხვაზე დაყენების განსახორციელებლად წარმოდგენილი დოკუმენტების სისრულის დადგენის შემთხვევაში, საკონსულო თანამდებობის პირი ხელის მოწერით და ბეჭდით ადასტურებს განცხადება-ანკეტას, რომელიც შეიძლება დარიგისკრირდება სამინისტროში შემოსული



კორესპონდენციისათვის დადგენილი წესით.

2. საკონსულო აღრიცხვაზე დაყენების შესახებ განცხადება -ანკეტის შევსების წესი განსაზღვრულია დანართი №2- ით.

3. საკონსულო აღრიცხვაზე მყოფი მოქალაქის მოთხოვნის შემთხვევაში მასზე გაიცემა საკონსულო აღრიცხვის ბარათი (დანართი №1), რომელიც შემდგომ დარეგისტრირდება სამინისტროში გასული კორესპონდენციისათვის დადგენილი წესით. იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქის მიერ წარმოდგენილი იყო ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფოტოსურათები, საკონსულო აღრიცხვის ბარათი გაიცემა ფოტოსურათით.

4. სააგენტოს მიერ ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მიღებული ელექტრონული განცხადება-ანკეტის რეგისტრაციის შემდეგ, სააგენტოს შესაბამის თანამდებობის პირსა და განმცხადებელს შორის ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით პირდაპირი ვიზუალური კონტაქტის დამყარების შემთხვევაში, განმცხადებელს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ეგზავნება შეტყობინება საკონსულო აღრიცხვაზე დაყენების თაობაზე. შეტყობინების ფორმას ამტკიცებს სააგენტოს თავმჯდომარე.

5. სააგენტოს მიერ საკონსულო აღრიცხვაზე აყვანილი პირი, უფლებამოსილია საკონსულო აღრიცხვის ბარათის გაცემის მოთხოვნით მიმართოს მის ადგილსამყოფელ ქვეყანაში აკრედიტებულ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას. საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა ან საკონსულო დაწესებულება ვალდებულია სააგენტოს მიერ საკონსულო აღრიცხვაზე აყვანილ პირზე გასცეს საკონსულო აღრიცხვის ბარათი.

6. საკონსულო აღრიცხვაზე მყოფ საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეს, რომელიც შემოვა საქართველოს ტერიტორიაზე საერთაშორისო მიმოსვლისთვის დადგენილ სასაზღვრო გამტარი პუნქტის მეშვეობით, ავტომატურ რეჟიმში შეუჩერდება საკონსულო აღრიცხვა და შესაბამისი აღნიშვნა კეთდება სააგენტოს მონაცემთა ბაზაში.

7. საკონსულო აღრიცხვის შეჩერება გაუქმდება, თუ საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქე დატოვებს საქართველოს ტერიტორიას საერთაშორისო მიმოსვლისთვის დადგენილ სასაზღვრო გამტარი პუნქტის მეშვეობით, შემოსვლიდან ექვსი თვის განმავლობაში.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2014 წლის 15 აგვისტოს ბრძანება №01-151 - ვებგვერდი, 21.08.2014წ.

მუხლი 7.

საკონსულო აღრიცხვიდან მოხსნას ექვემდებარება:

ა) საზღვარგარეთ გარდაცვლილი საქართველოს მოქალაქე;

ბ) საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქე, რომელიც სასამართლომ აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოაცხადა გარდაცვლილად;

გ) საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქე, რომელმაც შეიცვალა საკონსულო აღრიცხვა;

დ) საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქე, რომელიც საკონსულო აღრიცხვიდან მოხსნის თაობაზე განცხადებით მიმართავს სამინისტროს ან სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს;

ე) საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქე, რომელსაც შეუჩერდა საკონსულო აღრიცხვა და რომელიც საერთაშორისო მიმოსვლისათვის დადგენილ სასაზღვრო გამტარი პუნქტის მეშვეობით საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლიდან ექვსი თვის ვადაში არ დატოვებს საქართველოს ტერიტორიას;

ვ) საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქე, რომელსაც ბოლო 5 წლის განმავლობაში არ მიუმართავს საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და/ან საკონსულო დაწესებულებებისათვის, საკონსულო აღრიცხვის მონაცემთა განახლების ან სხვა მომსახურების გაწევის მიზნით, აგრეთვე 5 წლის განმავლობაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ბაზის მიხედვით, არ უფიქსირდება საქართველოს საზღვრის გადაკვეთა; **(ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან)**

ზ) საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქე, რომელმაც საკონსულო აღრიცხვაზე დასადგომად წარადგინა ყალბი დოკუმენტები.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2012 წლის 22 აგვისტოს ბრძანება №200 - ვებგვერდი, 29.08.2012წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის ბრძანება №198 - ვებგვერდი, 17.09.2013წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2013 წლის 29 ნოემბრის ბრძანება №259 - ვებგვერდი, 05.12.2013წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2014 წლის 15 აგვისტოს ბრძანება №01-151 - ვებგვერდი, 21.08.2014წ.

მუხლი 8.

1. სამინისტროს მიერ საკონსულო აღრიცხვა წარმოებს შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალში (დანართი №3 , დანართი №4).

2. სააგენტოს მიერ საკონსულო აღრიცხვის (აღრიცხვაზე დაყენება, აღრიცხვის შეჩერება და აღრიცხვიდან მოხსნა) წარმოების თაობაზე მონაცემები შეიტანება სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში, სპეციალურ ელექტრონულ ჟურნალში.

3. ამ მუხლის პირველ პუნქტით გათვალისწინებული ჟურნალის წარმოება არ არის აუცილებელი , თუ საკონსულო აღრიცხვის შესახებ მონაცემების დაფიქსირება ხდება სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში.

4. საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები და საკონსულო დაწესებულებები,



გ) პუნქტი 3 – მოქალაქის დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი);
დ) პუნქტი 4 – მოქალაქის სქესი (ჯვარედინად გადაიხაზება შესაბამისი სქესის მაჩვენებელი კვადრატი);
ე) პუნქტი 5 – მოქალაქის პირადი ნომერი;
ვ) პუნქტი 6 – მოქალაქის პასპორტის ნომერი;
ზ) პუნქტი 7 – მოქალაქის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი საზღვარგარეთ (მიეთითება სრულად, მათ შორის, საფოსტო ინდექსიც). იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქე ამ კონკრეტულ მისამართზე რეგისტრირებულია, ასევე უნდა მოხდეს მითითება ამ ფაქტთან დაკავშირებითაც. მეზღვარის შემთხვევაში უნდა მიეთითოს გემის დასახელება, გემთმფლობელი კომპანიის რეკვიზიტები (რეგისტრაციის ქვეყანა, კომპანიის დასახელება სრულად და საკონტაქტო ინფორმაცია) და გემის მარშრუტი (საზღვაო პორტების დასახელება ორივე მიმართულებით, სადაც უნდა შევიდეს გემი, შესაბამისი ქვეყნის მითითებით).

საერთაშორისო გადამზიდავის მძღოლის შემთხვევაში უნდა მიეთითოს კომპანიის რეკვიზიტები (რეგისტრაციის ქვეყანა, სრულად დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია) და მარშრუტი (ყველა ქალაქი, რომელიც უნდა გაიაროს ორივე მიმართულებით);

თ) პუნქტი 8 – ცხრილში თანმხლები პირების შესახებ ინფორმაცია მიეთითება შემდეგ პირებზე:
თ.ა) უცხო ქვეყნის ან მოქალაქეობის არმქონე მეუღლეზე;
თ.ბ) უცხო ქვეყნის ან მოქალაქეობის არმქონე არასრულწლოვან შვილზე;
თ.გ) საქართველოს მოქალაქე არასრულწლოვან შვილზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აუცილებელია წარმოდგენილ იქნეს ასევე ინდივიდუალურად საკონსულო აღრიცხვის განაცხადება-ანკეტა;
თ.დ) უცხო ქვეყნის ან მოქალაქეობის არმქონე მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ მყოფ პირზე;
თ.ე) საქართველოს მოქალაქე მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ მყოფ პირზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აუცილებელია წარმოდგენილ იქნეს ასევე ინდივიდუალურად საკონსულო აღრიცხვის განაცხადება-ანკეტა;

ი) მე-8 პუნქტით განსაზღვრული ცხრილის:
ი.ა) პირველ ველში მიეთითება ნათესაური დამოკიდებულება კონკრეტულ პირთან „მეუღლე, შვილი“ ან ზოგადად დამოკიდებულება თანხმლებ პირთან „მეურვეობა, მზრუნველობა“;
ი.ბ) ცხრილის მეორე ველში მიეთითება თანმხლები პირის გვარი;
ი.გ) ცხრილის მესამე ველში მიეთითება თანმხლები პირის სახელი;
ი.დ) ცხრილის მეოთხე ველში მიეთითება თანმხლები პირის მოქალაქეობა;
ი.ე) ცხრილის მეხუთე ველში მიეთითება თანმხლები პირის დაბადების თარიღი;
ი.ვ) ცხრილის მეექვსე ველი ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ თანმხლები პირი გახლავთ საქართველოს მოქალაქე და მიეთითება მისი პირადი ნომერი;

კ) პუნქტი 9 – მოქალაქის უცხო ქვეყანაში ყოფნის მიზანი და საფუძველი. ამ პუნქტის შევსების დროს უნდა შემოიხაზოს შესაბამისი ქვეპუნქტი:

კ.ა) დროებითი/მუდმივი ცხოვრების არჩევის შემთხვევაში, დამატებით უნდა მიეთითოს შესაბამისი უფლებების მიმნიჭებელი დოკუმენტის გამცემი ორგანო, თარიღი და მოქმედების ვადა;

კ.ბ) უმაღლეს/სხვა სასწავლებლებში სწავლის არჩევის შემთხვევაში, დამატებით უნდა მიეთითოს სასწავლებლის დასახელება, სწავლის დაწყების და დასრულების თარიღი;

კ.გ) სამუშაო მიზნის არჩევის შემთხვევაში, დამატებით უნდა მიეთითოს სამუშაო დაწესებულების დასახელება და სამუშაო კონტრაქტის ვადა;

კ.დ) მკურნალობის მიზნის შემთხვევაში, დამატებით უნდა მიეთითოს სამკურნალო დაწესებულების დასახელება და მკურნალობის სავარაუდო ვადა;

კ.ე) „სხვა“ მიზანში მიეთითება განმცხადებლის შესაბამის უცხო ქვეყანაში ყოფნის სამართლებრივი საფუძველი;

კ.ვ) ამ პუნქტის „კ.ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის შევსება სავალდებულოა. განმცხადებლის მიერ მითითებული ინფორმაციის შეუუსებლობის შემთხვევაში, აღნიშნული ვალდებულება ეკისრება საკონსულო აღრიცხვის განმახორციელებელ ორგანოს;

ლ) პუნქტი 10 – ქვეყანაში პირველად შემოსვლის თარიღი;

მ) პუნქტი 11 – საკონტაქტო მონაცემები:

მ.ა) „ა“ ქვეპუნქტში მიეთითება უშუალოდ განმცხადებლის საკონტაქტო ინფორმაცია; საქართველოს არასრულწლოვანი მოქალაქე და მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირის მიერ საკონსულო აღრიცხვის განაცხადება-ანკეტის შევსების დროს მიეთითება (ერთ-ერთი მშობელი, მზრუნველი, მეურვე) იმ პირის საკონტაქტო ინფორმაცია, ვის თანმხლებ პირებშიც არის არასრულწლოვანი და მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირი არის დაფიქსირებული.

მ.ბ) „ბ“ ქვეპუნქტში მიეთითება უცხო ქვეყანაში საკონტაქტო პირის შესახებ ინფორმაცია (შესაძლებელია ეს იყოს ნებისმიერი პირი როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც განმცხადებელთან კონტაქტის დაკარგვის შემთხვევაში დახმარებას გაგვიწევს განმცხადებლის მოძიებაში). საქართველოს არასრულწლოვანი მოქალაქე და მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირის მიერ საკონსულო აღრიცხვის განაცხადება-ანკეტის შევსების დროს მიეთითება (ერთ-ერთი მშობელი, მეურვე, მზრუნველი) იმ პირის საკონტაქტო ინფორმაცია, ვის თანმხლებ პირებშიც არის არასრულწლოვანი და მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირი დაფიქსირებული;



მ.გ) „გ“ ქვეპუნქტში მიეთითება საქართველოში საკონტაქტო პირის შესახებ ინფორმაცია (შესაძლებელია ეს იყოს ნებისმიერი პირი, რომელიც განმცხადებელთან კონტაქტის დაკარგვის შემთხვევაში დახმარებას გაგვიწევს განმცხადებლის მოძიებაში);

ნ) პუნქტი 12 – მოქალაქის პირადი ხელმოწერა და განცხადება-ანკეტის შევსების თარიღი;

ო) პუნქტი 13 – საკონსულო თანამდებობის პირის ხელმოწერის და ბეჭდის დასმის ადგილი (შენიშვნა: პირველ და მეორე ნაწილში ხელს აწერს საკონსულო თანამდებობის პირი და ამოწმებს გერბიანი ბეჭდით ისე, რომ ბეჭდის ნაწილი დასმულ იქნეს მფლობელის ფოტოსურათზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. განცხადება-ანკეტის მეორე ნაწილი ივსება საკონსულო თანამდებობის პირის მიერ ინგლისურ ან ადგილსამყოფელი ქვეყნის საქმისწარმოების ენაზე, დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების სატიტულო ფურცელზე და გაიცემა მოქალაქის მოთხოვნის შემთხვევაში. მოქალაქის მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია საკონსულო აღრიცხვის ბარათი გაიცეს განმეორებითაც. განცხადება-ანკეტის მეორე ნაწილში მიეთითება შემდეგი ინფორმაცია:

ა) პუნქტი 1 – მოქალაქის გვარი;

ბ) პუნქტი 2 – მოქალაქის სახელი;

გ) პუნქტი 3 – მოქალაქის დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი);

დ) პუნქტი 4 – მოქალაქის სქესი (ჯვარედინად გადაიხაზება შესაბამისი სქესის მაჩვენებელი კვადრატით);

ე) პუნქტი 5 – მოქალაქის პირადი ნომერი;

ვ) პუნქტი 6 – საკონსულო აღრიცხვაზე დაყენების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი). ეს თარიღი იქნება უცვლელი განცხადება-ანკეტის მეორე ნაწილის განმეორებით გაცემის შემთხვევაშიც;

ზ) პუნქტი 7 – ორგანოს დასახელება (რომელმაც დააყენა მოქალაქე საკონსულო აღრიცხვაზე);

თ) პუნქტი 8 – საკონსულო თანამდებობის პირის ხელმოწერა, ბეჭდის ადგილი და გაცემის თარიღი. იმ შემთხვევაში, თუ განცხადება-ანკეტის მეორე ნაწილის გაცემა ხდება განმეორებით, მიეთითება უშუალოდ გაცემის თარიღი (შენიშვნა: მეორე ნაწილში ხელს აწერს საკონსულო თანამდებობის პირი და ამოწმებს გერბიანი ბეჭდით ისე, რომ ბეჭდის ნაწილი დასმულ იქნეს მფლობელის ფოტოსურათზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში).

5. განცხადება-ანკეტა და საკონსულო აღრიცხვის ბარათი შესაძლებელია შეივსოს როგორც მანქანური წესით, ასევე ხელით.

6. განცხადება-ანკეტაში ფოტოსურათი ჩაიკვრება პირველი და მეორე ნაწილის მარჯვენა ქვედა განყოფილებაში, ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილას.

7 განცხადება-ანკეტას ასევე დაერთვება საკონსულო აღრიცხვაზე დაყენებისა და საკონსულო აღრიცხვიდან მოხსნის წესის მე-5 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის ასლები ასეთის არსებობის შემთხვევაში.

8. საკონსულო აღრიცხვაზე დაყენების შესახებ განცხადება – ანკეტის (დანართი №1, დანართი №5) პირველი – მე-7, აგრეთვე მე-9 და მე-12 პუნქტების შევსება სავალდებულოა, ხოლო მე-8, მე-10 და მე-11 პუნქტების შეუვსებლობა არ წარმოადგენს საკონსულო აღრიცხვაზე დაყენების დამაბრკოლებელ გარემოებას.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანება 2012 წლის 6 ივლისის №151 - ვებგვერდი, 12.07.2012წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანება 2012 წლის 11 ივლისის №158 - ვებგვერდი, 13.07.2012წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2012 წლის 22 აგვისტოს ბრძანება №200 - ვებგვერდი, 29.08.2012წ.

დანართი № 3

საკონსულო აღრიცხვის ჟურნალი

(საკონსულო დაწესებულების დასახელება)

საკონსულო აღრიცხვის

დასაწყისი: „ “ , წ.

დასასრული: „ “ , წ.

ჟ უ რ ნ ა ლ ი

სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში რეგისტრაციის ნომერი და თარიღი	საქართველოს მოქალაქის სახელი , გვარი	საქართველოს მოქალაქის დაბადების თარიღი	საქართველოს მოქალაქის პირადი , და პასპორტის ნომერი	საქართველოს მოქალაქის მისამართი ადგილსამყოფელ ქვეყანაში	თანმხლები უცხო ქვეყნის მოქალაქეების და მოქალაქეობის არმქონე პირების რაოდენობა	შენიშვნა



საკონსულო აღრიცხვის ჟურნალის წარმოების წესი

1. საკონსულო აღრიცხვა წარმოებს საკონსულო აღრიცხვის ჟურნალში.
2. საკონსულო აღრიცხვის ჟურნალი შედგება შემდეგი სვეტებისაგან და მათში მიეთითება შემდეგი ინფორმაცია:
 - ა) გრაფა 1 – სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზში რეგისტრაციის ნომერი და თარიღი;
 - ბ) გრაფა 2 – მოქალაქის სახელი და გვარი;
 - გ) გრაფა 3 – მოქალაქის დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი);
 - დ) გრაფა 4 – მოქალაქის პირადი და პასპორტის ნომერი;
 - ე) გრაფა 5 – მოქალაქის მისამართი ადგილსამყოფელ ქვეყანაში;
(შენიშვნა: აღნიშნულ გრაფაში მიეთითება საკონსულო ოლქში დროებით მყოფი ან მუდმივად მცხოვრები მოქალაქის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მისამართი, მეზღვაურის შემთხვევაში უნდა მიეთითოს გემის დასახელება, გემთმფლობელი კომპანიის რეკვიზიტები (რეგისტრაციის ქვეყანა, კომპანიის დასახელება სრულად და საკონტაქტო ინფორმაცია) და გემის მარშრუტი (საზღვაო პორტების დასახელება ორივე მიმართულებით, სადაც უნდა შევიდეს გემი, შესაბამისი ქვეყნის მითითებით).
 - საერთაშორისო გადამზიდავის მძღოლის შემთხვევაში უნდა მიეთითოს კომპანიის რეკვიზიტები (რეგისტრაციის ქვეყანა, სრულად დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია) და მარშრუტი (ყველა ქალაქი, რომელიც უნდა გაიაროს ორივე მიმართულებით);
 - ვ) გრაფა 6 – იწერება თანმხლები უცხო ქვეყნის მოქალაქეების და მოქალაქეობის არ მქონე პირების რაოდენობა;
 - ზ) გრაფა 7 – შენიშვნა
(შენიშვნა: აღნიშნული გრაფა ივსება საკონსულო თანამდებობის პირის შეხედულებისამებრ).
3. საკონსულო აღრიცხვის ჟურნალს აწარმოებს საკონსულო თანამდებობის პირი.
4. საკონსულო აღრიცხვის ჟურნალის წარმოება შესაძლებელია განხორციელდეს სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზის მეშვეობით გენერირებული საკონსულო აღრიცხვის ჟურნალის გამოყენებით.
5. საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები და საკონსულო დაწესებულებები, რომლებიც არ არიან უზრუნველყოფილნი სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზებით და აწარმოებენ საკონსულო აღრიცხვაზე დაყენებისა და საკონსულო აღრიცხვიდან მოხსნის წესის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სარეგისტრაციო ჟურნალს ყოველი თვის ბოლოს განახორციელებენ საკონსულო აღრიცხვაზე აყვანის თაობაზე შეგროვილი მონაცემების ამობეჭდვას და მისი ელექტრონული ვერსიის სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტში გადაგზავნას.
6. მონაცემების ამობეჭდვის შემდგომ, საკონსულო თანამდებობის პირი ამობეჭდილ მონაცემებს ამოწმებს ხელმოწერით და ბეჭდით.
7. საკონსულო თანამდებობის პირი ამობეჭდილ, ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებულ მონაცემებს აკრავს შესაბამის საქალაქო დეპარტამენტში.
საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2012 წლის 22 აგვისტოს ბრძანება №200 - ვებგვერდი, 29.08.2012წ.

ფოტო
3.5X4.5

რეგისტრაციის N
რეგისტრაციის თარიღი

განცხადება-ანკეტა
საკონსულო აღრიცხვაზე დაყენების შესახებ

--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

1. პირადი ნომერი



2. გვარი _____

3. სახელი _____

4. დაბადების თარიღი _____ წ.

5. სქესი

მდედ

მამრ.

6. პასპორტის ნომერი _____

7. საცხოვრებელი ადგილი საზღვარგარეთ

(რეგიონი, რაიონი, ქალაქი, სოფელი, ქუჩა, სახლის ნომერი, მეზღვაურის შემთხვევაში უნდა მიეთითოს გემის დასახელება, გემთმფლობელი კომპანიის რეკვიზიტები და გემის მარშრუტი.

საერთაშორისო გადაზიდვის მძღოლის შემთხვევაში უნდა მიეთითოს კომპანიის რეკვიზიტები და მარშრუტი)

8. თანმხლები - მეუღლე, არასრულწლოვანი და მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირის შესახებ მონაცემები

ნათესაური კავშირი/ დამოკიდებულება თანმხლებ პირთან	გვარი	სახელი	მოქალაქეობა	დაბადების თარიღი	პირადი ნომერი (თანმხლები პირის საქართველოს მოქალაქეობის შემთხვევაში)

9. უცხო ქვეყანაში ყოფნის მიზანი/საფუძველი

ა) ტურიზმი

ბ) დროებითი/მუდმივი ცხოვრება _____

გ) სწავლა უმაღლესი/სხვა სასწავლებელში _____

დ) სამუშაო _____

ე) მკურნალობა _____

ვ) სხვა _____

(შემოხაზეთ შესაბამისი პუნქტი)

10. ქვეყანაში პირველად შემოსვლის თარიღი --,--,----წ.

11. საკონტაქტო მონაცემები:

ა) ტელეფონი: სახლის ----- მობილური ----- სამსახურის -----
ელ-ფოსტის მისამართი -----

ბ) საზღვარგარეთ თქვენი საკონტაქტო პირის სახელი, გვარი -----ტელეფონი: სახლის -----
----- მობილური ----- სამსახურის -----
ელ-ფოსტის მისამართი -----

გ) საქართველოში თქვენი საკონტაქტო პირის სახელი, გვარი -----
ტელეფონი: სახლის ----- მობილური ----- სამსახურის -----
ელ-ფოსტის მისამართი -----

12. განცხადება-ანკეტა მიიღო _____
(უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი)

